ეკო დეზინფექცია 141010

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 1-1

ქ. თბილისი

05.01. 2016 წ.

**შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი**

მისი დირექტორის **ბატონ ირაკლი აბაშიძე**-ს სახით (შემდგომში შემსყიდველი), და მეორეს მხრივ, შპს "აქვაპოინტი" (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორი ქალბატონ დოდო ხარშილაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია : **სადეზინფექციო სამუშაოები** | **სადეზინფექციო ხსნარი**

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

CPV-24455000

**2. შესყიდვის ობიექტი**

2.1 შესყიდვის ობიექტია: **დეზინფექცია** | **დერატიზაცია** | **დეზინსექცია**

| სამუშაოს დასახელება | ფიზიკური ფართი მ2 | დამუშავების ჯერადობა | ოპერატიული ფართი ჯერადობის გათვალისწინებით | ერთეულის ფასი | ერთი თვის თანხა | საერთო თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეზინფექცია | | მოთხოვნით | | 0,60 | 0,0 | |
| დერატიზაცია | | მოთხოვნით | | 0,15 | 0,0 | |
| დეზინსექცია | | მოთხოვნით | | 0,75 | 0,0 | |
| ნეიტრალური ანოლიტი | 40 | 12 | 480 | 1,00 | 40,0 | 480,0 |
| სულ : | | | | | 40,0 | 480,0 |

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში;

3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| დეზინფექცია / მ2 | 0,60 | ლარი |
| დერატიზაცია / მ2 | 0,15 | ლარი |
| დეზინსექცია / მ2 | 0,75 | ლარი |
| სადეზინფექციო ხსნარი ნეიტრალური ანოლიტი /ლტ | 1,00 | ლარი |

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: ერთი თვის: ორმოცილარი სულ: ოთხასოთხმოცილარი
ტრანსპორტირების, და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. საგარანტიო ვადაა შესყიდვიდან 1 თვე.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 20 /ოცი/ კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. №16

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველთათვის.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამისილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

**7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია იმ ფორმითა და მოქმედების ვადით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული (საბანკო გარანტია, აკრედიტივი, ქონების, დანადგარების დაზღვევა და სხვა).

7.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ **არაუმეტეს ხუთი საბანკო დღის ვადაში**.

7.5. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

**8. მხარეთა უფლებები-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს შეყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
– უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
– მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 20 /ოცი/ დღისა;
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.5. ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული პირობების, მათ შორის მომსახურების შესრულების ადგილმდებარეობის, მომსახურების ჯერადობის და ხელშეკრულების საერთო ფასის ცვლილების შესახებ შემსყიდველმა უნდა აცნობოს მიმწოდებელს 14 კალენდარული დღით ადრე ზეპირი და წერილობითი ფორმით.

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევაზე**

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წიმანდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.6. **პუნქტი 8.5-ის დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულებით განსაზღვრული 1 თვის მომსახურება ითვლება შესრულებულად, და ექვემდებარება ანაზღაურებას.**

**10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **31.12. 2016 წ.**

10.2. ხელშეკრულების შეწყვეტა რომელიმე მხარის მიზეზით, უნდა მოხდეს წინასწარ 2 კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

**11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**12. ფორს-მაჟორი**

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**13. დავები და მისი გადაწყვეტის წესი**

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**15. სხვა პირობები**

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მოყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მომიწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი<br>ს/ნ 206 269 045<br>ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. #16<br><br>ტელ: 273-82-29<br>მობ: 599 92-43-11 | შპს "აქვაპოინტი"<br>ს/ნ 206 247 578<br>ეკა ბეჟანიშვილის ქ. №14/10-10ა, თბილისი<br>ს/ს "თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი<br>საბანკო კოდი TBCBGE 22<br>ა/ა GE24 TB11 0000 0360 2007 28<br>ტელ: (+995 32) 2305 333 |
| ხელმოწერა | ხელმოწერა |